ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №757704

ნომერი: AR1140709

თარიღი : 20.06.2013

გაცემის თარიღი : 25.06.2013

გაცნობის თარიღი : 25.06.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 22 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 , (ნაკვ. 20/52) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მუხიაშვილი პ/ნ 01024019289
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 30 ბ. 68

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმის გათვალისწინებით, რომ არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული №564295 28.02.2013წ. გადაწყვეტილების საფუძველზე მოგეცათ თანხმობა I კლასის შენობა–ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით და ამ ეტაპზე დაგეგმილი გაქვთ შეთანხმებული ობიექტის კორექტირება, საკითხი ნაცვლად რეკონსტრუქციისა უნდა დააყენოთ კორექტირების კუთხით. ამისათვის უნდა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და შეარჩიოთ: "I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" – "60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა" – ქმედებები "კორექტირება", რომლის შემდგომ დამატებით შესავსები იქნება "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები"–ს ველი, სადაც უნდა მიუთითოთ სამსახურის მიერ გაცემული გადაწყვეტილების ნუმერაცია და თარიღი: "№564295 28.02.2013წ.", ხოლო ამ ეტაპზე შერჩეული ნომენკლატურა ("I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" – "4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე" – ქმედებები "ახალი მშენებლობა") ღობის მშენებლობასთან დაკავშირებით დარჩეს უცვლელი.

რაც შეეხება "მოთხოვნის ტექსტი"–ს გრაფას, იგი უნდა განავრცოთ და მასში უნდა ასახოთ სრული ინფორმაცია საპროექტო დავალებით გათვალისწინებული და კორექტირებული სამუშაოების შესახებ.

ასევე სერვიტუტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიცია კვლავ უცვლელია და გიმეორებთ იმ გარემოებას, რაც ერთხელ უკვე გეცნობათ №571918 04.03.2013წ. გადაწყვეტილების საფუძველზე: ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ დატვირთულია სევიტუტით არ უნდა მოხდეს სერვიტუტით დატვირთული ტერიტორიის რაიმე სახით შეზღუდვა, დაუშვებელია მასზე რაიმე სახის მშენებლობა, ასევე ისეთი სახის ბარიერის შექმნა/განთავსება, რაც ხელს შეუშლის მისით სარგებლობას; შესაბამისად საჭიროა საპროექტო ღობე და შენობა–ნაგებობა დაიტანოთ საკადასტრო გეგმაზე, რომელზეც მითითებული იქნება ზომები და ატვირთოთ ველში –"ფაილის მიმაგრება" რის შემდგომ სამსახური ხელახლა იმსჯელებს საკითხთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.